

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №135

2023 წლის 4 აპრილი

ქ. თბილისი

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის გათვალისწინებითა და „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგია“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023 – 2026 წლების სამოქმედო გეგმა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგია
სარჩევი

შესავალი

არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების მიმოხილვა

ეროვნული სტრატეგიის მიზანი

ეროვნული სტრატეგიის პრიორიტეტები

დასკვნა

შესავალი

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია (შემდგომში – ეროვნული სტრატეგია) და თანდართული სამოქმედო გეგმა, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სამოქმედო დოკუმენტს, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით. ეროვნული სტრატეგია უზრუნველყოფს საქართველოს სრულ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force) 40 რეკომენდაციით და „ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების თავიდან აცილების შესახებ, ევროპარლამენტისა და საბჭოს N648/2012 რეგულაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივისა და კომისიის 2006/70/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015/849 (2018/843) დირექტივებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ეროვნული სტრატეგია ეყრდნობა საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშსა და ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) მიერ საქართველოს შეფასების ანგარიშში გამოთქმულ რეკომენდაციებს. აღნიშნულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები ან MONEYVAL-ის მიერ მიღებული შემდგომი რეკომენდაციები, აგრეთვე, ევროკავშირის ზემოაღნიშნული დირექტივის განახლება, საჭიროების შემთხვევაში არის ეროვნული სტრატეგიის გადახედვის/განახლების წინაპირობა. ეროვნული

სტრატეგიის დოკუმენტი განსაზღვრავს მიზნის მისაღწევად აუცილებელ პრიორიტეტულ მიმართულებებს, ხოლო სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს პრიორიტეტული მიმართულების შესასრულებლად საჭირო შესაბამის მიზნებს, მიზნის მისაღწევად დაგეგმილ აქტივობებს, აქტივობის შესრულების ინდიკატორებს, მასზე პასუხისმგებელ უწყებებს, აგრეთვე აქტივობის ვადებს და აქტივობის შესასრულებლად საჭირო ბიუჯეტს.

არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების მიმოხილვა

საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ძირითად სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 2019 წლის 30 ოქტომბერს და რომელმაც ჩაანაცვლა 2003 წლის 6 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. კანონი არეგულირებს საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების პროცესის მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს; განსაზღვრავს ანგარიშვალდებული ინსტიტუტებისა და მათი საზედამხედველო ორგანოების ჩამონათვალს; ითვალისწინებს მათ ვალდებულებებს პრევენციული ღონისძიებების, მათ შორის, რისკების შესაბამისად გაძლიერებული და გამარტივებული პრევენციული ზომების გატარებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, აგრეთვე, ანგარიშვალდებული პირების ვალდებულებას – მიაწოდონ სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ინფორმაცია საექვო გარიგების შესახებ; ადგენს სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტატუსსა და მის უფლება-მოვალეობებს; ითვალისწინებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კანონში ცალკე თავი ეთმობა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების აღსრულების მიზნით, სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური და საზედამხედველო ორგანოები გამოსცემენ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, რომელთა მიზანია ანგარიშვალდებული ინსტიტუტების მიერ კლიენტებისა და მათი ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციასთან დაკავშირებული ურთიერთობების, აგრეთვე, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების თვალსაზრისით მოწყვლადი გარიგებების შესახებ ინფორმაციის სსიპ – საქართველოს

ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირება. საზედამხედველო ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია პასუხისმგებლობის ზომები ანგარიშვალდებული პირების მიერ კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელ ანგარიშვალდებულ პირებს და მათ საზედამხედველო ორგანოებს:

- საქართველოს ეროვნული ბანკი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირებისთვის; ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისთვის; კომერციული ბანკებისთვის; მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის; საბროკერო კომპანიებისთვის; საგადახადო მომსახურების პროვაიდერებისთვის; სესხის გამცემი სუბიექტისათვის; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისთვის, საინვესტიციო ფონდისთვის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისათვის, მიკრობანკისათვის;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური – სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებისათვის, სადაზღვევო ბროკერებისა და გადაზღვევის ბროკერებისთვის;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ლატარიის ორგანიზატორისთვის, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორებისთვის; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირებისთვის; სალიზინგო კომპანიებისათვის;

შემოსავლების სამსახურისათვის;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – ნოტარიუსებისა და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;

- სერტიფიცირებული ბუღალტერისათვის, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერისათვის, საბუღალტრო ფირმისათვის, აუდიტორისათვის, აუდიტორული (აუდიტური) ფირმისათვის;

- სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია – ადვოკატებისათვის, საადვოკატო ბიუროსათვის.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საზედამხედველო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ანგარიშვალდებული პირების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებისათვის.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ასევე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ამოცანებსა და ძირითად ფუნქციებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, ანგარიშვალდებული პირებისგან იღებს, აანალიზებს და დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომ გარიგება საექვოა და ხორციელდება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, გადასცემს სათანადო ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოებს. სამართალდამცავი ორგანოები, თავის მხრივ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღჭურვილი არიან სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კრიმინალიზაციას. მის პრედიკატს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაული. ეს სრულ შესაბამისობაშია ფინანსური მოქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებთან.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს ტერორიზმის დაფინანსების, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერის ან რესურსებით უზრუნველყოფის (ტერორიზმის დაფინანსების) კრიმინალიზაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური მოქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებთან. საქართველოს მიერ ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულის კრიმინალიზაციის კუთხით გადადგმული ნაბიჯები დადებითად შეფასდა საქართველოს შესახებ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) 2020 წლის ანგარიშში.

ფულის გათეთრების კრიმინალიზაციასთან ერთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (52-ე მუხლი) ადგენს ქონების ჩამორთმევის სისხლისსამართლებრივ მექანიზმს, რაც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. იგი ითვალისწინებს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამოიხნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მექანიზმი ასევე მოიცავს დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების ეკვივალენტურ ქონებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (თავი XLIV¹) ადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან/და დაკავშირებული პირის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მექანიზმს. იგი მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ამ დროს, ქონების ჩამორთმევის სისხლისსამართლებრივი მექანიზმისგან განსხვავებით, ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან მიმართებაში ხდება მტკიცების ტვირთის ცვლილება და მათ შორის მოპასუხე მხარეს ეკისრება ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთების ვალდებულება.

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის, ექსტრადიციის და განაჩენის აღსრულების პროცედურებს.

„სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების გაცვლას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებას და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ სხვა სფეროებს, რომლებშიც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურებთან. აღნიშნული თანამშრომლობა ხორციელდება, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან აცილების, გამოვლენის ან აღკვეთის მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფულის გათეთრების საქმეებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას. საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში შექმნილია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო (სპეციალიზებული დანაყოფი), რომელიც გამოძიებას ატარებს და სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს კომპლექსური ხასიათის ფულის გათეთრების საქმეებზე. პრედიკატი დანაშაულის ქვემდებარეობის, დანაშაულის გამოვლენისა და საქმის სირთულის გათვალისწინებით, ფულის გათეთრების საქმეები შესაძლებელია უშუალოდ ან ჯგუფის ფარგლებში, საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ დანაყოფთან ერთად, გამოიძიოს სხვა საგამოძიებო უწყებამ. ამ შემთხვევაში

სამართალდამცავი ორგანოების საერთო კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს პროკურატურა, რომელშიც წამყვანი როლი უკავია სპეციალიზებულ დანაყოფს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე გამოძიების წარმოება წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციას, ხოლო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს საქართველოს პროკურატურა. საქართველოს შესახებ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) 2020 წლის ანგარიშში დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ ტერორიზმის დაფინანსების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით გადადგმული ნაბიჯები, მიღწეულ იქნა რა ეფექტიანობის არსებითი ღონე ამ მიმართულებით.

საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, არეგულირებს/ზღუდავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილებასა და ეკონომიკურ საქმიანობას.

საქართველოს შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს ფაქტობრივი იურისდიქცია რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სადაც რუსეთი ახორციელებს ეფექტიან კონტროლს, რაც დადასტურებულია საერთაშორისო სასამართლოების (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო) მიერ.

ეროვნული სტრატეგიის მიზანი

ეროვნული სტრატეგიის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან სრულად თავსებადი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული მექანიზმების არსებობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ეროვნული სტრატეგიის პრიორიტეტები

I. სახელმწიფო ორგანოების მიერ, ფულის გათეთრების რისკების პროპორციულად, პრიორიტეტების განსაზღვრის და რესურსების ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფა წინამდებარე სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საერთო ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრების რისკების პროპორციულად, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის მიერ რესურსების ეფექტიანი და ადეკვატური განაწილების უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის პერიოდული განახლებით და რისკების შეფასების

დოკუმენტით გამოვლენილი სირთულეების აღმოფხვრის მიზნით შესაბამის სექტორებში კანონმდებლობით და სახელმწიფო ზედამხედველობის პოლიტიკით განსაზღვრული მექანიზმების გადასინჯვით, ან საჭიროების შემთხვევაში, ახალი მექანიზმების დანერგვით.

II. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფა

ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც პირველ რიგში გულისხმობს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო სტანდარტების შემგომ იმპლემენტაციას საქართველოს კანონმდებლობაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტიანობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან შესაბამისობის საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში. აგრეთვე, „ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების თავიდან აცილების შესახებ, ევროპარლამენტისა და საბჭოს N648/2012 რეგულაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივისა და კომისიის 2006/70/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015/849 (2018/843) დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი დაახლოების უზრუნველყოფა.

III. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული ეროვნული ინსტიტუციური სისტემის შემდგომი გაძლიერება

წინამდებარე სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ეროვნული ინსტიტუციური სისტემის შემდგომი გაძლიერება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ისეთი სამსახურების ინსტიტუციური გაძლიერება, როგორცაა ფინანსური დაზვერვის სამსახური, საზედამხედველო ორგანოები და სამართალდამცავი უწყებები. საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშით იდენტიფიცირებული რისკების გათვალისწინებით, განსაკუთრებით აქტუალურია MONEYVAL-ის შეფასების ანგარიშით განსაზღვრული არასაფინანსო ანგარიშვალდებული ინსტიტუტების მიერ ფულის გათეთრების პრევენციული კანონმდებლობის შესრულებაზე საზედამხედველო მექანიზმების სრულყოფა და ამ მიზნით შესაბამისი, ეფექტიანი, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ღონისძიებების განხორციელება. ქვეყნისათვის მიმდინარე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ასევე გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებაც, რაც გულისხმობს, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული სანქციების შესრულების მექანიზმის ეროვნულ დონეზე გაუმჯობესებასაც.

IV. ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებისა და ამ მიმართულებით სისხლისსამართლებრივი დევნის შემდგომი ეფექტიანობის უზრუნველყოფა

სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ფულის გათეთრების საქმეებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ეფექტიანობის შემდგომი გაძლიერება. ეს მათ შორის მოიცავს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციაზე გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის რეგულარული გაზიარების მექანიზმის შემდგომ სრულყოფას.

V. ანგარიშვალდებული პირების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც მაღალია ფულის გათეთრების რისკი

ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ანგარიშვალდებული პირების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული საკანონმდებლო ვალდებულებების სათანადოდ შესრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით გაგრძელდეს მუშაობა სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავებაზე ანგარიშვალდებული პირებისთვის და მათთვის შესაბამისი ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებაზე, განსაკუთრებით არასაფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ფულის გათეთრების აღკვეთის რეგულაციების თაობაზე ცნობადობის ამაღლების მიმართულებით.

VI. საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის გაძლიერება

წინამდებარე სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კომპეტენტური სახელმწიფო და თვითმმართველობრივი ორგანიზაციების ადგილობრივი თანამშრომლობის, ასევე მათი უცხოელ კოლეგებთან საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერება წარმოადგენს.

დასკვნა

ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და პრიორიტეტების იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად სტრატეგიას თან ერთვის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ მიზნებს, აღნიშნული მიზნების მისაღწევად

გათვალისწინებულ დაგეგმილ აქტივობებს, აქტივობის შესრულების ინდიკატორებს, მათ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებებსა და შესრულების ვადებსა და სათანადო ბიუჯეტს.

წინამდებარე სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 მაისის №273 დადგენილებით შექმნილი, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023 – 2026 წლების სამოქმედო გეგმა

I პრიორიტეტი			
სახელმწიფო ორგანოების მიერ, ფულის გათეთრების რისკების პროპორციულად, პრიორიტეტების განსაზღვრის და რესურსების ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფა			
	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება
მიზანი	რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის განახლება		
1	1.1.1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მხრივ საქართველოში არსებული ზოგადი, სექტორული და თემატური რისკების დროული იდენტიფიცირებისა და სათანადო შეფასების მიზნით, რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის გეგმიური განახლება, მისი შემდგომი სრულყოფა და შედეგების ფორმალიზება.	<p>(1) რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშზე მუშაობისას, მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის მიერ სრულყოფილად არის იდენტიფიცირებული, გაანალიზებული და ფორმალიზებული, ზოგადი, სექტორული და თემატური მიმართულებით არსებულ ძირითად საკითხებთან ასოცირებული რისკ-ფაქტორები. კერძოდ, სულ მცირე, განხილულია შემდეგი საკითხები:</p> <p>(1) ქვეყნის საერთო რისკ- პროფილზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის მქონე სტრუქტურულ ელემენტებთან (მაგ., არაფორმალური ეკონომიკა/ნაღდი ფულის გამოყენება ქვეყანაში; ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრება (მათ შორის, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში და სხვ.) და კონტექსტუალურ</p>	<p>მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის წევრების მიერ სახელმწიფო უწყებების მიერ</p> <p>აქტივობის შესრულების ინდიკატორების კუთხით პასუხისმგებელი უწყებების</p> <p>1.1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ეკონომიკისა და</p>

		<p>ფაქტორებთან (მაგ., გეოგრაფიული, ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები და სხვ.) დაკავშირებული რისკ-ფაქტორები;</p> <p>(2) ახალ ტექნოლოგიებთან, პროდუქტებთან, მომსახურების ან მიწოდების ახალ საშუალებებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები;</p> <p>(3) ანგარიშვალდებულ პირთა წრის გაფართოების საჭიროება (მაგ. აქტივების მმართველი კომპანიები, ცენტრალური დეპოზიტარები, ფაქტორინგული კომპანიები, და სხვ);</p> <p>(4) რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშში დამატებით განხილულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით დაბალი რისკის მატარებელი პროდუქტების/მომსახურების ტიპების/მიმართულებების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გაანალიზებულია აღნიშნული მიმართულებით გამონაკლისების განსაზღვრის საჭიროება.</p> <p>(2) მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის წარდგინებით, მთავრობის აქტით, დამტკიცებულია რისკების შეფასების განახლებული ეროვნული ანგარიში.</p>	<p>მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ფინანსების მონიტორინგის სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი</p> <p>1.2 წამყვანი უწყებები საქართველოს ეროვნული ბანკი;</p> <p>დამხმარე უწყებები სსიპ საქართველოს ფინანსების მონიტორინგის სამსახური საქართველოს პროკურატურა</p> <p>1.3 აქტივების მმართველი კომპანიების, ცენტრალური დეპოზიტარების ფაქტორინგული კომპანიების ანგარიშვალდებულ პირთა განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია – საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ფინანსების სამინისტრო</p> <p>1.4 საზედამხედველი ორგანოები⁴</p>
--	--	---	---

			2. საქართველო მთავრობა
--	--	--	---------------------------

მიზანი 2	რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშით გათვალისწინებული დასკვნების საფუძველზე რეკომენდაციების/მაკორექტირებელი და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა			
	1.2.1. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშით იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და სისუსტეების აღმოფხვრის ან/და შემცირების მიზნით, ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება ან/და არსებულის სრულყოფა.	<p>(1) რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტის შედეგებზე დაყრდნობით, გამოთქმულია დასკვნები ზოგად, სექტორულ და სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებთან ასოცირებული რისკების შესახებ.</p> <p>(2) რისკების მიხედვით კლასიფიცირებული მიმართულებებისთვის განსაზღვრულია რეკომენდაციები/ მაკორექტირებელი ღონისძიებები/პრიორიტეტული მიმართულებები.</p> <p>(3) რეკომენდაციებზე, მაკორექტირებელ ღონისძიებებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე მუშაობისას შესრულებულია საუკეთესო პრაქტიკის კვლევა.</p> <p>(4) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი სისტემატიზებულია.</p>	მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის წევრი სახელმწიფო უწყებები.	2024

მიზანი 3	შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, ფულის გათეთრების რისკების პროპორცია პრიორიტეტების განსაზღვრის და რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობის მიზნით			
-------------	---	--	--	--

	<p>1.3.1. კომპეტენტური ორგანოებისათვის, აგრეთვე ანგარიშვალდებული პირებისათვის, რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტით დამტკიცებული ინფორმაციის შესახებ დროული და სრულყოფილი ცოდნის უზრუნველყოფა.</p>	<p>(1) რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში გასაჯაროებულია (გარდა მისი კონფიდენციალური ნაწილისა) და გამოქვეყნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>(2) კომპეტენტური ორგანოებისა და ანგარიშვალდებული პირებისათვის ჩატარებულია გაცნობითი ხასიათის შეხვედრები და სემინარები.</p> <p>(3) ანგარიშვალდებული პირები საკუთარი ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით არსებული რისკების შეფასებისას და მათი მართვის ღონისძიებების განხორციელებისას ითვალისწინებენ რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, მითითებებსა და რეკომენდაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p> <p>მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის წევრი სახელმწიფო უწყებები.</p>	2
	<p>1.3.2. საზედამხედველო ორგანოების მიერ საზედამხედველო ღონისძიებების დაგეგმვისას რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშით</p>	<p>საზედამხედველო ორგანოები მათ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირთა ჯგუფისთვის (სექტორისთვის/სუბსექტორისთვის) მინიჭებული მატერიალურობის კოეფიციენტის</p>	<p>საზედამხედველო ორგანოები</p>	2023-2026

	<p>გათვალისწინებული ინფორმაციის, დასკვნების, რეკომენდაციების გათვალისწინების უზრუნველყოფა.</p>	<p>(მსგავსის არსებობის შემთხვევაში), რისკის დონისა და იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით, გეგმავენ საზედამხედველო ღონისძიებების/ზომების გადანაწილების პრინციპსა და საზედამხედველო გეგმას.</p>	
--	--	--	--

II პრიორიტეტი

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფა

	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყ.
მიზანი 1	..ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“	საქართველოს კანონის ნორმების შემდგომი ჰარმონიზაცია ფინანსური ქმედების სპეციალური	

ჯგუფის საერთაშორისო სტანდარტებთან და ეროვნულ საჭიროებებთან			
	<p>2.1.1. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ</p> <p>ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის მე-5 რაუნდის შეფასების დროს გამოთქმული რეკომენდაციების ასახვა.</p>	<p>„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ შესაბამის რეკომენდაციებს, მათ შორის, დაკავშირებულს ანგარიშვალდებულებების სიის გაფართოებასთან, ფულის გათეთრების ტერმინის განმარტების დახვეწასთან და შეფასებით გათვალისწინებულ სხვა რეკომენდაციებს.</p>	<p>მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის წევრების სახელმწიფო უწყებები</p>
	<p>2.1.2. რისკების შეფასების ეროვნული ასახული ანგარიშში</p>	<p>„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“</p>	

	<p>საქართველოს კანონით, რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტის საფუძველზე ანგარიშვალდებულ პირებად განისაზღვრნენ:</p>				
<p>დასკვნების საფუძველზე, ანგარიშვალდებულ პირთა წრის გაფართოება.</p>	<p>(1) აქტივების მმართველი კომპანიები;</p> <p>(2) ცენტრალური დეპოზიტარები;</p> <p>(3) ფაქტორინგული კომპანიები.</p>	<p>სსიპ –საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური</p> <p>საზედამხედველო ორგანოები</p> <p>მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>2023 - 2024</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>	

<p>2.1.3. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი გამონაკლისებისათვის (კანონის ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან, ისეთი მომსახურების გაწევისას, რომელიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების დაბალ რისკებს შეიცავს) უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო დასაბუთება, განსაზღვრულ იქნეს გარემოებათა ამომწურავი ჩამონათვალი და გავრცელდეს მხოლოდ ანგარიშვალდებულ</p>	<p>ქვეყანაში არსებული გამონაკლისები (კანონის ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან, ისეთი მომსახურების გაწევისას, რომელიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების დაბალ რისკებს შეიცავს) ეფუძნება რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტითა და კომპეტენტური ორგანოების მიერ დამატებით ჩატარებულ სექტორულ/თემატურ ანალიზს/დასკვნებს (ანალიზი სათანადოდ დასაბუთებული და ფორმალიზებულია).</p>	<p>სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური</p> <p>საზედამხედველო ორგანოები</p>	<p>2023-2024</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>
---	--	--	------------------	--------------------------------

<p>პირთა კონკრეტულ ჯგუფზე ან საქმიანობაზე.</p>					
<p>მიზანი</p> <p>2</p>	<p>საქართველოს კანონის ნორმების შემდგომი ჰარმონიზაცია მეხუთე დირექტივასთან</p>				
	<p>2.2.1 ანგარიშთა ²</p> <p>ცენტრალური რეესტრის შექმნა</p>	<p>(1) შექმნილია ანგარიშთა ცენტრალური რეესტრი</p>	<p>წამყვანი უწყება – საქართველოს მთავრობა, სამართალდამცავი ორგანოები, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური;</p> <p>დამხმარე უწყება – საქართველოს ეროვნული ბანკი.</p>	<p>2024-2025</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>

	<p>2.2.2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტექნიკური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა</p>	<p>(1) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, საჯარო რეესტრში შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.</p> <p>(2) საჯარო რეესტრი უზრუნველყოფილია შესაბამისი ბაზებით, რაც პირების სანქციადაკისრებულ პირთა სიაში გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა.</p> <p>(3) საჯარო რეესტრის ეროვნული სამსახური საქმიანობაში იყენებს აქტივების შეფასების სისტემით დადგენილ გარიგების ღირებულებას.</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p>	<p>2023-2025</p>	<p>ადმინისტრული ხარჯ</p>
	<p>2.2.3. უზრუნველყოფილ იქნეს პოლიტიკურად აქტიური პირების ეროვნული სიის გამოქვეყნება.</p>	<p>(1) იდენტიფიცირებულია მნიშვნელოვან საჯარო ან პოლიტიკური ფუნქციების შემსრულებელი ფიზიკური პირები.</p> <p>(2) იდენტიფიცირებულ მნიშვნელოვანი საჯარო ან პოლიტიკური ფუნქციების შემსრულებელი ფიზიკური პირების სია შექმნილია.</p> <p>(3) მნიშვნელოვანი საჯარო ან პოლიტიკური ფუნქციების შემსრულებელი ფიზიკური პირების სია გასაჯაროებულია.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>	<p>2023 – 2026</p>	<p>ადმინისტრული ხარჯ</p>
<p>მიზანი</p> <p>3</p>	<p>საზედამხედველო კანონმდებლობის სრულყოფა</p>				

	<p>2.3.1. საბუღალტრო/აუდიტორული საქმიანობების განმახორციელებელი პირებისათვის, საზედამხედველო სისტემის გაძლიერება, მე-5 რაუნდის სამემფასებლო მისიის ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით.</p>	<p>საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებს შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ შესაბამის რეკომენდაციებს, მათ შორის, ბაზარზე დასაშვებობის კრიტერიუმების გაუმჯობესებას.</p>	<p>სსდ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური</p>	<p>2023-2026</p>	<p>ადმინისტრული ხარჯ</p>
--	--	---	---	------------------	--------------------------

<p>2.3.2. არასაფინანსო სექტორის წარმომადგენელი ანგარიშვალდებული პირების ცალკეული კატეგორიისთვის საზედამხედველო მოთხოვნების გამკაცრება.</p>	<p>(1) სექტორულ კანონში შეტანილია შესაბამისი დანაწესი.</p> <p>(2) ადვოკატთა ასოციაციაში, შექმნილია საზედამხედველო ქვედანაყოფი/გამოყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.</p> <p>(3) ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს დაემატა ინსპექტირების და შესაბამისი სანქციების დაკისრების ფუნქცია</p>	<p>არასაფინანსო სექტორის საზედამხედველო ორგანოები</p>	<p>2023-2026</p>	<p>ად ულ</p>
<p>2.3.3. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირებისთვის საზედამხედველო მოთხოვნების სრულყოფა.</p>	<p>სექტორულ კანონში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია საზედამხედველო ორგანოს აცნობოს ადმინისტრატორისა და/ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის ცვლილების შესახებ . ○ პირს ეკრძალება იყოს მზღვეველის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრე თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და ფულის გათეთრებისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. ○ სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ დაწესებულია რიგი სანქციები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე 	<p>სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური</p>	<p>2023-2026</p>	<p>ად ულ</p>

	<p>ნორმატიული აქტების მოთხოვნების დარღვევისთვის.</p>			
<p>2.3.4. საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირებისთვის საზედამხედველო მოთხოვნების სრულყოფა.</p>	<p>საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის წესი; ○ ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაციის განსაზღვრის წესი; ○ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი; ○ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესი. 	<p>საქართველოს ეროვნული ბანკი</p>	<p>2023-2026</p>	<p>აღ</p>

	<p>2.3.5. არასამეწარმეო იურიდიული პირის სექტორის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა</p>	<p>(1) უზრუნველყოფილია სექტორის ფინანსური ქმედებათა სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციებთან შესაბამისობის დასადგენად საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა;</p> <p>(2) იდენტიფიცირებულია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები;</p> <p>(3) განსაზღვრულია ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციების შესასრულებლად პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება.</p> <p>(4) რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე შემუშავებულია სექტორის ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სამომავლო გეგმის კომპონენტები.</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p>	
	<p>2.3.6. ლატარიის ორგანიზატორის, ახარტულ და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი პირებისთვის საზედამხედველო სისტემის გაძლიერება, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის მე-5 რაუნდის საშემფასებლო მისიის ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით.</p>	<p>მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>20</p>
<p>III პრიორიტეტი</p> <p>ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული ეროვნული ინსტიტუციური სისტემა</p>				
	<p>დაგეგმილი აქტივობა</p>	<p>აქტივობის შესრულების ინდიკატორი</p>	<p>პასუხისმგებელი უწყება</p>	<p>აქტივობის კოდური მნიშვნელობა</p>

მიზანი 1	ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინსტიტუციური გა		
	3.1.1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ	(1) ანგარიშვალდებული პირებისგან მიღებულ შეტყობინებებში მონაწილე	

<p>ოპერაციული და სტრატეგიული ანალიზის ჩატარების შემდგომი სრულყოფა და ანალიტიკური შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება სათანადო პროგრამული შესაძლებლობების დანერგვის გზით.</p>	<p>სუბიექტების იდენტიფიცირების, დაჯგუფების და სხვა შეტყობინებებში მონაწილე სუბიექტებთან დაკავშირების არსებული ფუნქციონალები გაუმჯობესებულია;</p> <p>(2) ანგარიშვალდებული პირების შეტყობინებების ანალიზის ეფექტიანობის გაუმჯობესება განხილვისთვის მათი წინასწარი პრიორიტიზაცია/შეფასების სისტემის შექმნა უზრუნველყოფილია;</p> <p>(3) შექმნილია ანალიტიკური საქმეთწარმოების და მართვის ავტომატიზებული სისტემა;</p> <p>(4) ანგარიშვალდებული პირებისგან მიღებულ შეტყობინებებში მონაწილე სუბიექტებზე ინფორმაციის გამდიდრების მიზნით არსებულ საინფორმაციო წყაროებთან ერთად ანალიტიკურ სისტემაში სხვა საინფორმაციო რესურსებიდან მიღებული მონაცემების ჩართვა ავტომატიზირებულია.</p>	<p>სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური</p>	<p>2023-2026</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>
<p>3.1.2 ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანი სტანდარტის დანერგვა.</p>	<p>უზრუნველყოფილია ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის თაობაზე მუდმივი უკუკავშირი.</p>	<p>სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური</p> <p>სამართალდამცავი ორგანოები</p>	<p>2023-2026</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>

მიზანი	საზედამხედველო ორგანოების ინსტიტუციური ჩარჩოს გა		
2	<p>3.2.1. ზედამხედველობის ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება უძრავი ქონების სექტორისთვის ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელ პირებზე, სალიზინგო კომპანიებზე, საბუღალტრო და აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე, საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე, ვირტუალურიაქტივების მომსახურების მიმწოდებელ პირებზე და რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის შედეგების გათვალისწინებით, აქტივების მმართველ კომპანიებზე, ფაქტორინგულ კომპანიებზე, ცენტრალურ დეპოზიტარებზე.</p>	<p>(1) შექმნილია და განსაზღვრულია საზედამხედველო პოლიტიკა, მათ შორის, საზედამხედველო უფლებამოსილების მქონე სტრუქტურული ერთეული ჩამოყალიბებულია.</p> <p>(2) დანერგილია ლიცენზია/რეგისტრაციის საკითხები, ბაზარზე დასაშვებობის, პროპორციული და ადეკვატური სანქციებისა და შემოწმების მექანიზმები.</p>	<p>უწყებად კონ (საზედ ო ორგ</p>
	<p>3.2.2. ლატარიის ორგანიზატორის, ახარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორის საზედამხედველო პოლიტიკის გაუმჯობესება და გამკაცრება.</p>	<p>(1) ანგარიშვალდებული პირები ექვემდებარებიან მკაცრი სანქციების სისტემას, ხოლო ლიცენზიის მიმღები პირებისათვის შესაბამისობის შემოწმების კრიტერიუმები გამკაცრებულია და შესაბამისია საერთაშორისო სტანდარტებთან.</p>	<p>საქარ ფი სამი</p>

	<p>(2) დანერგილია პროპორციული და ადეკვატური სანქციებისა და შემოწმების სისტემა.</p> <p>(3) მიმდინარეობს დისტანციური ზედამხედველობა და ადგილზე ინსპექტირება.</p> <p>(4) მომზადებულია შესაბამისი ცვლილებები ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებს სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე ცალკე ნებართვის შემოღების საკითხს და ბიზნესის ბაზარზე დაშვების ადეკვატური საქმიანობის მექანიზმებს.</p>	
--	--	--

	<p>(5) საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, შესწავლილია სათამაშო ბიზნესის საერთაშორისო რეგულირების საუკეთესო პრაქტიკა.</p> <p>(6) შესწავლილია სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების ეფექტიანობა, რათა წარიმართოს აღნიშნული სფეროს სწორი პოლიტიკა და განხორციელებულია შესაბამისი რეაგირება.</p>	
<p>3.2.3. ნოტარიუსებისათვის საზედამხედველო პოლიტიკის გაუმჯობესება და გამკაცრება.</p>	<p>(1) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში განსაზღვრულია ნოტარიუსებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი შესაბამისი დანაყოფი;</p> <p>(2) არსებული რისკების შეფასების საფუძველზე შემუშავებულია ნოტარიუსებზე ზედამხედველობის მექანიზმი/ინსტრუქცია;</p> <p>(3) განსაზღვრულია ნოტარიუსების შემოწმების პერიოდულობა და ფარგლები;</p>	ს
<p>3.2.4. საზედამხედველო ორგანოების მიერ ანგარიშვალდებული პირებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და დოკუმენტების გამოშვების სიხშირისა და ხარისხის გაუმჯობესება.</p>	<p>შემუშავებულია და ანგარიშვალდებული პირებისათვის მიწოდებულია შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტები.</p>	სა ო
<p>3.2.5. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი ინსტიტუტების შესაბამისი პასუხისმგებელი თანამდებობის პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.</p>	<p>ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებისა და მეთოდოლოგიის გაცნობის, აგრეთვე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, მათ შორის პრედიკატულ დანაშაულთა, საქმეების გამოძიების სფეროში არსებული საუკეთესო გამოცდილებისა და თანამედროვე ტიპოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით შესაბამისი პასუხისმგებელი თანამდებობის პირებს, მათ შორის,</p>	ს მ ს პ

		მოსამართლეებს, პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები, აგრეთვე უზრუნველყოფილია საერთაშორისო სემინარებსა და ტრენინგებში მათი მონაწილეობა.	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა		
მიზანი	გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს				
3					
3.3.1. შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია განახლებული შემადგენლობით.	გამოცემულია მთავრობის დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ, რომლითაც განახლდა კომისიის შემადგენლობა და გაფართოვდა კომისიის წევრთა წრე, ასევე დეტალურად დარეგულირდა კომისიის საქმიანობა და ფუნქციები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის“ ახალი კანონიდან გამომდინარე	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2023	აღწერილობითი	

	<p>3.3.2. ანგარიშვალდებული პირებისათვის დაწესდა კანონისმიერი ვალდებულება უზრუნველყონ დაყადაღებული აქტივების შესახებ ინფორმაციის ფინანსური მონიტორინგის სამსახურში წარდგენა.</p>	<p>(1) ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოში შესაბამისი კანონისმიერი დანაწესი გაკეთებულია;</p> <p>(2) შემუშავებულია დაყადაღებული აქტივების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის მექანიზმი;</p>	<p>სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური</p>	<p>2023-2024</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>
	<p>3.3.3. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული სანქციადაკისრებული პირების რეჟიმის ზოგიერთი ასპექტის გაუმჯობესება FATF_ის მე-6 და მე-7 რეკომენდაციების სტანდარტების შესაბამისად.</p>	<p>(1) შექმნილია სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფი განახლებული შემადგენლობით.</p> <p>(2) გაუმჯობესებულია UNSCRs 1267/1989, 1988 საფუძველზე სიაში შესაყვანი პირების იდენტიფიკაციის მექანიზმი და შემუშავებულია სანქციების წესი და პროცედურა.</p> <p>(3) დანერგილია UNSCR 1373 საფუძველზე სიაში შესაყვანი პირების იდენტიფიკაციის მექანიზმი და შემუშავებულია სანქციების წესი და პროცედურა.</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p>	<p>2023-2024</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>

	<p>(4) ქვეყანაში მტკიცებაზე დაფუძნებული მტკიცების სტანდარტის უზრუნველსაყოფად, განმარტებულია პირის საქმის განსახილველად გამოსაყენებელი დასაბუთებული ეჭვი.</p> <p>(5) განხილულია ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირების სანქციების საკითხი.</p>			
<p>3.3.4. ანგარიშვალდებული პირების მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ფინანსური სანქციების შეუსრულებლობისათვის სანქციების მექანიზმის შექმნა.</p>	<p>ანგარიშვალდებული პირების მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ფინანსური სანქციების შეუსრულებლობისთვის შექმნილია პროპორციული სანქციების სისტემა.</p>	საზედამხედველო ორგანოები	2023-2024	ადმინისტრაციული
<p>3.3.5 ანგარიშვალდებულ პირებს აქვთ სახელმძღვანელო მითითებები რეზოლუციებით მოთხოვნილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.</p>	<p>(1) შემუშავებულია სახელმძღვანელო დოკუმენტი;</p> <p>(2) ანგარიშვალდებულ პირებთან გამართულია საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები.</p>	საზედამხედველო ორგანოები	2023-2024	ადმინისტრაციული
<p>3.3.6 მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული სანქციების შესრულების მექანიზმის გაუმჯობესება.</p>	<p>(1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის ფარგლებში შექმნილია სამუშაო ჯგუფი;</p> <p>(2) საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შემუშავებულია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული სანქციების შესრულების სისტემური მექანიზმი;</p> <p>(3) შემუშავებულია სახელმძღვანელო დოკუმენტი.</p>	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2023-2025	ადმინისტრაციული

IV პრიორიტეტი

ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებისა და ამ მიმართულებით სისხლისსამართლებრივი

	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების ინდიკატორი	პასუხის უწყება
მიზანი 1	ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებისა და ამ მიმართულებით სისხლისსამართლებრივი დევნის შემდგომი ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზანი		
	<p>4.1.1. სამართალდამცავ ორგანოებში და შემოსავლების სამსახურში გადაგზავნილ საქმეებზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის უკუკავშირის მექანიზმის შემდგომი სრულყოფა.</p>	<p>უზრუნველყოფილია სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციაზე გატარებული ზომების შესახებ ინფორმაციის რეგულარული (განსაზღვრული პერიოდულობით) მიწოდება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის.</p>	<p>საქართველოს პროკურატურა</p> <p>საქართველოს სახელობის უსაფრთხოების სამსახური</p> <p>სსიპ შემდგომი სამსახური</p> <p>სსიპ საგარეო ფინანსური მონიტორინგის სამსახური</p>

V პრიორიტეტი

ანგარიშგაღებულ პირების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული ვალდებულებების ჯერჯერობით სფეროებში, სადაც მაღალია ფულის გათეთრების რისკი

მიზანი 1	სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო მითითებების საშუალებით, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების		
	<p>5.1.1. „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულ პირების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის, აგრეთვე, ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებზე ცნობადობის ამაღლება.</p>	<p>(1) „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულ პირების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზება.</p> <p>(2) საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით ანგარიშვალდებულ პირებისთვის მომზადებულია სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო დოკუმენტები.</p>	<p>სსიპ საფინანსო მონიტორინგის სამსახური</p> <p>საზედამსახურე ორგანიზაცია</p>

VI პრიორიტეტი

საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის გაძლიერება

მიზანი 1	თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება			
	<p>6.1.1. კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა მასობრივი განადგურების იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა საკითხებში.</p>	<p>კომპეტენტური ორგანოების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რეგულარულად ჩატარებულია შესაბამისი შეხვედრები.</p>	<p>მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>2023-2026</p> <p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>

	<p>6.1.2. ქვეყანაში ფორმალური შიდა თანამშრომლობის მექანიზმის დანერგვის უზრუნველყოფა, რომელიც სპეციალიზირდება ნაღდი ფულის/BNIs ტრანსპორტირების საკითხებზე.</p>	<p>დანერგვით კომპეტენტურ ორგანოებს შორის შიდა თანამშრომლობის მექანიზმი.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>2023-2026</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>
	<p>6.1.3. ფინანსთა სამინისტროში დანერგვით ვალდებულება/პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის საერთაშორისო თანამშრომლობისა და დახმარებისათვის შენახვას ზღვარს ზემოთ, არასწორი დეკლარირებისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საექსპორტის დროს.</p>	<p>დამტკიცებულია საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საჭირო სამართლებრივი დოკუმენტი.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>2023-2026</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>
	<p>6.1.4. ფინანსთა სამინისტროს, როგორც ზედამხედველი ორგანოს, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების განვითარება.</p>	<p>ზედამხედველების საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები გაფართოებულია.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>2023-2026</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>
	<p>6.1.5. ადვოკატთა ასოციაციის, როგორც ზედამხედველი ორგანოს, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების განვითარება.</p>	<p>ზედამხედველების საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები გაფართოებულია.</p>	<p>სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია</p>	<p>2023-2026</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯები</p>

[1] საზედამხედველო ორგანოები – „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საკანონმდებლო აქტების კოდექსი.

[2] „ანგარიში“ – იგულისხმება, მხოლოდ საბანკო ანგარიშები.